საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 003982

„ 8 " აპრილი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I შეს. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „კოდა" (ს/ნ 406125893)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

[redacted] დირექტორი [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2019 წლის 1 ნოემბრის №2-1107 ბრძანებით დამტკიცებული ბიომასის საქმიანობის

გეგმარების შესახებ 2019 წლის 29 ოქტომბრის №5 ვალდებულება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003982

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N003982 ადმინისტრაციული მიწერილობის ფორმა N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79^3 მუხლის შენიშვნის მეორე

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] მთავარი - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო კოხრეიძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 8 აპრილის №003982 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩაზე განთავსებული, შპს „კრიალა"-ს (ს/კ 406125893) ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელ (ნარჩენების აღდგენა) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ნოემბრის №2-1107 ბრძანებით დამტკიცებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2019 წლის 29 ოქტომბრის №5 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული დეპარტამენტის 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **პირველი პუნქტის** შესაბამისად, კომპანიას არ აქვს შეთანხმებული სანიაღვრე წყლების ჩაშვების საკითხი საკანალიზაციო სისტემის მფლობელთან და შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (გეგმა-გრაფიკის **მე-2-ე პუნქტი);**

2. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **მე-2 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიას არ გააჩნია სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმა და შესაბამისად, არ ახორციელებდა მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას (გეგმა-გრაფიკის **მე-3-ე პუნქტი);**

3. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **მე-3 პუნქტის** შესაბამისად, შპს „კრიალა"-ს მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ არის წარდგენილი საწარმოს ახლომდებარე ობიექტების, მათ შორის მსგავსი პროფილის მქონე საწარმოების თაობაზე ინფორმაცია. ასევე, არ განახორციელა ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასება (გეგმა-გრაფიკის **მე-4-ე პუნქტი);**

4. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **მე-5 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ არის წარდგენილი საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხებზე ინფორმაცია (გეგმა-გრაფიკის **მე-6-ე პუნქტი**);

5. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **მე-6 პუნქტის** შესაბამისად, შპს „კრიალა"-ს არ მიუმართავს სსიპ გარემოს ეროვნულ

სააგენტოსთვის ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის აღებაზე ტექნიკური პირობების შეთანხმების მიზნით;

6. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **მე-8 პუნქტის** შესაბამისად, შპს „კრიალა"-ს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემაში (https://ms.emoe.gov.ge/) არ აქვს წარდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა და წყლის აღრიცხვის სახელმწიფო ფორმა;

7. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **მე-10 პუნქტის** შესაბამისად, კომპანია არ აწარმოებს წარმოქმნილი სახიფათო/არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობის აღრიცხვის დოკუმენტაციას "სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით განსაზღვრული ნარჩენების კოდის მითითებით;

8. 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის №2 დანართის **მე-16 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ სრულყოფილად არ უზრუნველყო საწარმოს დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (სამუშაოს დაწყების წინ, ყოველდღიურად). კერძოდ, როგორც კომპანიის მიერ წარმოდგენილი, საწარმოში არსებული დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების ამსახველი დოკუმენტაციის განხილვით დადგინდა კომპანია დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას ახორციელებს ყოველწლიურად;

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 16 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^3 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „კრიალა"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №091399 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ, 2025 წლის 21 აგვისტოს №4/6410-25 დადგენილებით, შპს „კრიალა" სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^3 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების

შესრულებისთვის, აგრეთვე იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „კრიალა“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 8 აპრილის №003982 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 8 აპრილის №003982 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „კრიალა“-ს (ს/კ 406125893) ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელ (ნარჩენების აღდგენა) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ნოემბრის №2-1107 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2019 წლის 29 ოქტომბრის №5 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, დეპარტამენტის 2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „კრიალა“ ვალდებულია**:

1. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 31 მარტის №21/4330 წერილში ასახული შენიშვნების გათვალისწინებით, **უზრუნველყოს სანიაღვრე წყლების ჩაშვების საკითხის შეთანხმება საკანალიზაციო სისტემის მფლობელთან,** ხოლო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტი** და გეგმა-გრაფიკის **მე-2 პუნქტი);**

2. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან** უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 4 თებერვლის №21/1269 წერილით შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება, ამავე გეგმით განსაზღვრულ მავნე ნივთიერებებზე, პერიოდულობით, მეთოდებით და წერტილებში/წყაროებზე **(გეგმა-გრაფიკის მე-3 პუნქტი);**

3. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოს ახლომდებარე ობიექტების, მათ შორის მსგავსი პროფილის მქონე საწარმოების თაობაზე ინფორმაციის, ასევე ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-3 პუნქტი** და გეგმა-გრაფიკის **მე-4 პუნქტი);**

4. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 31 მარტის №21/4330 წერილში ასახული შენიშვნების გათვალისწინებით, უზრუნველყოს საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხებზე დეტალური ინფორმაციის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული

მიწერილობის **მე-5 პუნქტი** და გეგმა-გრაფიკის **მე-6 პუნქტი)**. შემდგომში, ლამის მართვა განახორციელოს სააგენტოში წარდგენილი ღონისძიებების შესაბამისად;

5. საქმიანობის განხორციელების პროცესში, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემაში (https://ms.emoe.gov.ge/) მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმისა და წყლის აღრიცხვის სახელმწიფო ფორმის წარდგენა განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და განსაზღვრული წესის შესაბამისად (2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-8 პუნქტი);**

6. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს** და საწარმოს ფუნქციონირებისას **მუდმივად უზრუნველყოს** წარმოქმნილი სახიფათო/არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობის აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება, "სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით განსაზღვრული ნარჩენების კოდის მითითებით (2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-10 პუნქტი)**;

7. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ** სამუშაოს დაწყების წინ, ყოველდღიურად, უზრუნველყოს საწარმოს დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად და უზრუნველყოს შემოწმების შედეგების დოკუმენტირება (2024 წლის 15 აპრილის №003916 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-16 პუნქტი)**.